<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მე-8 მუხლს დაემატოს 57-ე ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„57. საკონტროლო-სალარო აპარატი - ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა ან/და ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს უზრუნველყოფს გადახდის ოპერაციის განხორციელებასა და მომხმარებელთან როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციის შესახებ შესაბამისი მონაცემების აღრიცხვას, შენახვას და საგადასახადო ორგანოსათვის გადაცემას.“.

2. 51-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) აწარმოონ საკონტროლო-სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრი, განახორციელონ საკონტროლო-სალარო აპარატების რეგისტრაცია, გააკონტროლონ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;“.

3. 259-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან ანგარიშსწორებისას, შესაბამისი მონაცემები აღირიცხება, ინახება და საგადასახადო ორგანოს გადაეცემა საკონტროლო-სალარო აპარატის ან/და ელექტრონული კომერციის ტერმინალის გამოყენებით. მომხმარებლად ჩაითვლება პირი, რომელიც ახორციელებს ანგარიშსწორებას მისთვის მიწოდებულ/მისაწოდებელ საქონელზე/მომსახურებაზე.“;

ბ) მე-4 ნაწილის:

ბ.ა) „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.ბ) მე-4 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 - მე-7 ნაწილები:

„5. გადასახადის გადამხდელის საკონტროლო-სალარო აპარატით და ელექტრონული კომერციის ტერმინალით უზრუნველყოფასა და მის ტექნიკურ მომსახურებას ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი კომისიის მიერ შერჩეული პირი. კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობენ სსიპ შემოსავლების სამსახური და სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკი.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პირის შერჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

7. გადასახადის გადამხდელის მიერ ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის გადასახდელი მომსახურების საფასურის ოდენობა, მისი გადახდის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

4. 281-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მომხმარებელთან საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა –

იწვევს გადასახადის გადამხდელის (გარდა ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილის დამქირავებელი ფიზიკური პირისა) დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.“;

ბ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მომხმარებელთან საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობა –

იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.“.

5. 309-ე მუხლს დაემატოს 148-ე - 152-ე ნაწილები შემდეგი რედაქციით:

„148. 2027 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციას ექვემდებარება მხოლოდ ამ კოდექსის მე-8 მუხლის 57-ე ნაწილით გათვალისწინებული საკონტროლო-სალარო აპარატი.

149. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია 2028 წლის 1 მაისამდე მომხმარებელთან ანგარიშსწორებისას გამოიყენოს საკონტროლო-სალარო აპარატების მოდელების სახელმწიფო რეესტრში არსებული და საგადასახადო ორგანოში 2027 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული საკონტროლო-სალარო აპარატი და ელექტრონული

კომერციის ტერმინალი, რომლითაც არ არის უზრუნველყოფილი შერჩეული პირის მიერ.

150. გადასახადის გადამხდელს, რომელიც მომხმარებლისათვის საქონლის/მომსახურების მიწოდებას ახორციელებს საკონტროლო-სალარო აპარატების მოდელების სახელმწიფო რეესტრში არსებული და 2027 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული საკონტროლო-სალარო აპარატით, 2028 წლის 1 მაისამდე პასუხისმგებლობა ამავე კოდექსის 281-ე მუხლის შესაბამისად დაეკისრება მომხმარებელთან მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებისას.

151. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია 2028 წლის 1 მაისიდან მომხმარებელთან ანგარიშსწორებისას გამოიყენოს ამ კოდექსის 259-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საკონტროლო-სალარო აპარატი და ასევე ელექტრონული კომერციის ტერმინალი.

152. 2027 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციიდან მოხსნა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.“.

მუხლი 2.

2027 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს:

ა) გადასახადის გადამხდელის საკონტროლო-სალარო აპარატით და ელექტრონული კომერციის ტერმინალით უზრუნველყოფისა და მისი ტექნიკური მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესის განსაზღვრა;

ბ) შერჩეული პირისათვის გადასახდელი მომსახურების საფასურის ოდენობის, მისი გადახდის წესისა და პირობების განსაზღვრა;

გ) საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილმა კომისიამ უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის საკონტროლო-სალარო აპარატით და ელექტრონული კომერციის ტერმინალით უზრუნველყოფისა და მისი ტექნიკური მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევა.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ.ა“ ქვეპუნქტებისა და ,ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 259-ე მუხლის მე-5 ნაწილისა, პირველი მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ.ა“ ქვეპუნქტები და „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 259-ე მუხლის მე-5 ნაწილი, პირველი მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ ყაველაშვილი*